

# რას ითხოვს ეპროპავშირი

## საქართველოსაბან?

„ეკონომიკის სინგაპურიზაცია და ფინანსების  
ბაჰრეინიზაცია უნდა დასრულდეს“

“თუ კი ვამბობთ, რომ ევროპაში გვინდა, პირველ რიგში,  
ევროპა უნდა შევქმნათ თვითონ საქართველოში”

გაზეთი “ალია” – 6-8 სექტემბერი, № 110, 2008<sup>1</sup>

იმისათვის, რომ ევროკავშირის მიერ, 1 სექტემბერს მიღებული რეზოლუცია შესრულდეს, ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიცვალოს შრომის კოდექსი და დაუახლოებეს ევროპულს, უნდა ამოქმედდეს ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემა და მომხმარებლის უფლებები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირი არც სავიზო რეჟიმს გაგვიმარტივებს და არც თავისუფალი ვაჭრობის სისტემას დაგივწესებს. მოკლედ, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ძირეულად უნდა შეიცვალოს. სხვათა შორის, ამ მოთხოვნების შესასრულებლად, სააკაშვილს დიდი რეფორმატორის, კახა ბენდუქიძისა და პრემიერ-მინისტრის, ლადო გურგენიძის „გაწირვა“ მოუწევს, რადგან ამ ცვლილების გარეშე, ქვეყნის ეკონომიკური მოდელი ევროპულს ვერ მიუახლოება.

ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი, ლადო პაპავა „ალიასთან“ სწორედ ამ პირობებზე საუბრობს და რეზოლუციაში ჩაწერილ დიპლომატიურ წინადაღებას შიფრავას:

– ჩვენს მასმედიაში გაპიარდა ევროკავშირის რეზოლუციის პირველი ნაწილი, რომ საქართველო მიიღებს სავიზო შეღავათებს და მიიღებს თავისუფალი ვაჭრობის სრულ ფორმატს. ერთიც და მეორეც საქართველოსთვის ძალიან კარგია, მაგრამ პიარის მიღმა დარჩა ჩანაწერი,

<sup>1</sup> ინტევიუ გაზეთმა „ალიაშ“ დაბჭედა შემოკლებით და შეცდომებით. აქ მოცემულია ინტერვიუს ის ვერსია, რომელიც დასაბეჭდად წარედგინა გაზეთს.

რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ამისათვის საჭირო პირობები. იცით, რატომ არ წერია ამ დოკუმენტში პირობები? იმიტომ, რომ ეს პირობები დიდი ხანია უკვე ცნობილია, რადგან თვითონ ევროკავშირმა წელიწადზე მეტია, რაც ჩამოაყალიბა. ამიტომ, რეზოლუციაში ამ პირობების ჩაწერა არ იყო საჭირო.

– ბატონო ლადო, გამოდის, რომ ევროკავშირის რეზოლუციაც ჩვენი ხელისუფლების მხრიდან მორიგი პიარი იყო, ანუ ის ნაწილი გააპიარეს, რაც აწყობდათ?

– ეს რეზოლუცია საკმაოდ კვალიფიციური დოკუმენტია, სადაც ყველაფერი სწორად წერია. რა წინაპირობაზეა საუბარი, იცით? ევროპა ცდილობს, თავისი მომხმარებელი მაქსიმალურად დაიცვას, ამიტომ როცა თავისუფალი ვაჭრობის სისტემაზე გადადის, აუცილებელია, რომ იმ ქვეყნის ეკონომიკა, ვისთანაც აქვს თავისუფალი ვაჭრობა, ზუსტად ისეთივე რეჟიმში ფუნქციონირებდეს, როგორც ევროკავშირის ეკონომიკა. ანუ, შეიძლება ეს ქვეყანა არ იყოს ევროკავშირის წევრი, მაგრამ პროდუქციის ხარისხზე იმავე რეჟიმში, იმავე კონტროლი უნდა იყოს, რაც არის ევროპაში, რათა არ შევიდეს უხარისხო პროდუქცია. ამიტომ, ეს ბუნებრივი მოთხოვნაა, თანაც აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ ეს მოთხოვნები არც უნდა ყოფილიყო ამ დოკუმენტში, რადგანაც ისინი საქართველოს მთავრობისთვის, ომის გარეშეც კარგდაა ცნობილი.

– კონკრეტულად, რა მოთხოვნებზეა საუბარი?

– პირველი მოთხოვნაა, შრომის კოდექსის ცვლილება. იმ შრომის კოდექსისა, რომელიც საქართველოში ბარბაროსულ, მონათმფლობელურ ურთიერთობებს აყალიბებს: მოქმედი კოდექსით, დამქირავებელს ყველანაირი უფლებები აქვს და დაქირავებულს არავითარი უფლება არ გააჩნია. ევროკავშირის ერთ-ერთი, პირველი მოთხოვნა არის, რომ საქართველომ შეცვალოს შრომის კოდექსი და მიიღოს ისეთი, რომელიც დაახლოებული იქნება ევროპულ მოდელთან, რაც ნიშნავს, რომ გარკვეული გარანტიები უნდა ჩაიწეროს დაქირავებულისთვისაც. როგორი არის ჩვენი მთავრობის დამოკიდებულება? ჩვენს მთავრობაში არაოფიციალურად მუსირებს ასეთი შეხედულება, რომ ევროკავშირი არის სოციალისტებისა და კომუნისტების ნაკრები და ამიტომ, ასეთი შრომის კოდექსი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის არ არის საჭირო. უფრო მეტიც, იძახიან, რომ ჩვენ დღეს რომ გვიდებდნენ ევროკავშირში, მაშინ სასწრაფოდ მივიღებთ ევროპულ შრომის კოდექსს, მაგრამ დღეს ხომ არ დგას საქართველოს უშუალოდ

მიღების საკითხით; ამიტომ, მოდით, დღეს ჩვენ განვითარდეთ (!?) ისე, როგორც ვითარდება სინგაპურით.

– ბატონო ლადო, ერთი რამ ვერ გავიგე, ევროპავშირის მოდელი თუ სოციალისტურ-კომუნისტურია, იმას, რასაც მთავრობა გვთავაზობს, რა ქვია, ოდონდაც გამაგებინეთ?

– მაგას რა ქვია, ნამდვილად არ ვიცი. თავის დროზე ჩემმა მეგობარმა, სოსო ცისკარიშვილმა ამას „ბენდუნომიკა“ უწოდა.

– კიდევ რა მოთხოვნებს გვიყენებს ევროპავშირი?

– მეორე მოთხოვნა არის ანტიმონოპოლიური რეგულირება, რომელიც ხელს უწყობს საბაზრო კონკურენციას. იმის გამო, რომ მონოპოლიები ზღუდავენ საბაზრო კონკურენციას, ანტიმონოპოლიური რეგულირება საჭიროა, რათა ბაზარზე კონკურენცია მონოპოლიებისგან თავისუფალი, ნაკლებად შევიწროვებული იყოს. საქართველოში ეს კანონმდებლობა 2004 წლის ბოლოს, დიდი „წარმატებით“ გააუქმეს და ეს ჩაითვალა დიდ რეფორმად. ევროპავშირი გვეუბნება, რომ ჩვენ თუ გინდა, რომ მასთან თავისუფალი გაჭრობის რეჟიმში ვიყოთ, ჩვენც ზუსტად ისეთივე კანონმდებლობა უნდა გქონდეს კონკურენციის ხელშეწყობისა, როგორიც არის ევროპავშირი. იგივე არის სასურსათო უვნებლობის თემაც, რითაც დავიწყე საერთოდ, საუბარი. ევროპა ძალიან ფრთხილია თავისი საზოგადოების წევრების ინტერესების დაცვის მიმართ და ცდილობს, რომ თუ ჩვენთან თავისუფალ გაჭრობაზე მოდის, აქაც იგივე სტანდარტები უნდა დახვდეს. ანუ, ეს მოთხოვენები არის ის, რაც საქართველოს მთავრობისთვის დიდი ხანია ცნობილია და რასაც საქართველოს მთავრობა შეგნებით არ აკეთებს.

– და რატომ არ აკეთებს ამას?

– გითხარით, რომ საქართველოს მთავრობის ფორმალური პოზიცია არის ასეთი – ხვალ ხომ არ გვდებულობენ ევროპავშირში? ევროპავშირში შეიძლება კიდევ 10 წელი არ მიგვიღონ, კიდევ 50 წელი არ მიგვიღონ, ან საერთოდ არ მიგვიღონ, მაგრამ თუ დადგა საკითხი, რომ ზეგ უნდა მიგვიღონ, ხვალ გავაკეთებოთ, თუ დადგა საკითხი, რომ ხვალ უნდა მიგვიღონ, დღეს გავაკეთებოთ. გასაგებია, რომ ამასაც აქვს თავისი ლოგიკა, მაგრამ მოდით საკითხს სხვა კუთხითაც შევხედოთ. დაგუშგათ, ევროპავშირში ხვალ არ გვდებულობენ, მაგრამ ხვალ რომ თავისუფალი გაჭრობის რეჟიმი გვქონდეს, მაშინ ეს ხომ უნდა გავაკეთოთ დღეს. ანუ, ეს არ არის მაინც და მაინც ევროპავშირში მიღების წინაპირობა, ეს არის თავისუფალი გაჭრობის რეჟიმზე

გადასვლის წინაპირობა, რომელზე გადასვლის გარეშე, საერთოდ, არ დადგება ევროკავშირში მიღების საკითხი. ახლა განვიხილოთ, კიდევ ერთი მხარეც – ბუნებაში სულ რომ არ არსებობდეს ევროკავშირი და ეს მოთხოვნაც რომ არ ჰქონდეს მას, ჩვენთვის რა არის სწორი, რომელი მოდელია უკეთესი საქართველოსთვის? მოდით, ვთქვათ, წმინდა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ის არის სწორი, რასაც გვთავაზობს ჩვენ მთავრობა, ანუ რა მოდელიც გვაქვს, თუ ის, რომ ქვეყანას ჰქონდეს სხვა შრომითი კანონმდებლობა, ისეთი კანონმდებლობა, სადაც ადამიანები, მომხმარებლები დაცულები იქნებიან პროდუქციის ხარისხით და არ ექნებათ პრობლემა, რომ რაღაცას უხარისხოს, ან მავნე პროდუქტებს მოიხმარენ, ან ის, რომ ბაზარზე იყოს კონკურენცია. გეკითხებით თქვენ და თქვენი გაზეთის საშუალებით, გეკითხები რიგით მკითხველს, რომელ მოდელს დაუჭირდით მხარს? პირადად მე, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ეკონომისტი და მომხმარებელი მხარს დაგუჭირდი სწორედ იმ მოდელს, რასაც ევროკავშირი გვთავაზობს.

ახლა განვიხილოთ, რას ნიშნავს ეს ჩანაწერი. ეს პრაქტიკულად ნიშნავს, რომ ჩვენ რომ ევროკავშირის მოთხოვნები აქამდე შეგვერულებინა, მაშინ დღეს აქ სულ სხვა ჩანაწერი გაჩნდებოდა, ანუ ევროკავშირი უფრო მეტს შემოგვთავაზებდა; დღეს ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებოდით და უფრო მეტად მივუახლოვდებოდით ევროპას. ახლა კიდევ ერთი მხრიდან შევხედოთ ამას – ეს ჩანაწერი ნიშნავს, რომ არანაირი სავიზო რეჟიმი არ გამარტივდება და არც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე არ გადავალთ, თუ მთავრობამ არ გაითვალისწინა ეს პირობები. ამის გათვალისწინება იცით, რას ნიშნავს? ძირეულად უნდა შეიცვალოს საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკა, ძირეულად უნდა შეიცვალოს ქვეყნის ეკონომიკური მოდელი. მთავრობამ უარი უნდა თქვას ეკონომიკის სინგაპურიზაციაზე, მთავრობამ უარი უნდა თქვას ჩვენი ფინანსების ბაჰრეინიზაციაზე და ევროპული ფასეულობები უნდა იყოს არა მარტო დემაგოგია, არამედ – რეალობა. ეს წერია აქ, ამ ერთ, პატარა ფრაზაში! თუკი ვამბობთ, რომ ევროპაში გვინდა, პირველ რიგში, ევროპა უნდა შევქმნათ თვითონ საქართველოში, ეკონომიკის ევროპული მოდელი უნდა შევქმნათ აქ. ანუ, საქართველოს ევროპაში შესვლა იწყება ევროპის შექმნით საქართველოში!

– ბატონო ლადო, თქვენ, ეკონომიკის ექსპერტები, მუდმივად აკრიტიკებდით ხელისუფლებას იმის გამო, რომ ევროკავშირის ამ მოთხოვნებს არ ითვალისწინებდნენ და რა გარანტია გვაქვს, რომ ახლა შეასრულებენ?

– არანაირი გარანტია არ არსებობს, მაგრამ ახლა იმიტომ უნდა გაითვალისწინონ, რომ ევროკავშირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაიწერა. სხვა თუ არაფერი, 1 და 2 სექტემბერს ჩვენმა მასმედიამ ეს კარგად გააპიარა. თუ იგივე უურნალისტები არ დაივიწყებენ ამას და ერთი თვის შემდეგ მაინც დაუსვამენ საქართველოს მთავრობას კითხვას – კი, მაგრამ რა ხდება, მთელი ერიამული რომ იყო სავიზო რეჟიმი უნდა გამარტივდეს, როგორ არის მდგომარეობა, როდიდან გვექნება ეს რეჟიმიო? თუკი ასეთი კითხვები იარსებებს, მაშინ შეიძლება, მთავრობამაც იმოქმედოს. თუმცა, ლრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ მთავრობაში რამდენიმე საკვანძო ფიგურა არ შეიცვალა, ევროკავშირის ეს მოთხოვნები არ შესრულდება.

– კონკრეტულად ვის გულისხმობთ?

– ყველა მას, ვინც ანგრევდა ანტიმონოპოლიურ სამსახურს, ყველა მას, ვინც იღებდა ახალ შრომის კოდექსს, ყველა მას, ვისაც მიაჩნდა, რომ ეს არის დიდი რეფორმა საქართველოსთვის. სინამდვილეში, ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი, ეს იყო ნაბიჯი, რომელმაც სერიოზულად დაგვაშორა ევროპას.

– გამოდის, რომ თუ ამ მოთხოვნებს არ შევასრულებთ, არც სავიზო რეჟიმს გაგვიმარტივებენ და არც თავისუფალი ვაჭრობის სისტემა ამოქმედდება და აბა, რა გვიხარია, ბატონო ლადო?

– მე ნამდვილად არ ვიცი ვის რა უხარია! დღეს მცირედი იმედი გაჩნდა, რომ ეგებ, რამე მაინც შეიცვალოს, რადგან ამ რეზოლუციაში ჩაწერეს, თორემ თავისით ხომ არ ცვლიან ესენი ხალხის სასიკეთოდ არაფერს? ჩვენ თუ ვართ სახელმწიფო, ჩვენი მომხარებლების უფლებები არ უნდა დავიცვათ? ბიოლოგიის ლაბორატორიაში ხომ არ ვართ, რომ ხალხის ნაცვლად, საცდელი თაგვები გვყავდეს? დაგანებოთ თავი იმას, რომ ხელისუფლება ბიოლოგიურად უყურებს ჩვენს მოსახლეობას. ეკონომიკა არ არის ბიოლოგია და ხალხისადმი ბოლოგიური დამოკიდებულება დანაშაულია!

მაია მიშელაძე